დასუფთავების მოთხოვნები

ქვემოთ მოყვანილი დასუფთავების სიხშირე მიზანმიმართულია მოსალოდნელი სისუფთავის სტანდარტების მისაღწევად. დამლაგებელი უნდა მიჰყვეს ქვემოაღნიშნულ სტანდარტებს.
შენობის ფართის, ოთახების და ტუალეტების ღრმა წმენდა უნდა განხორციელდეს დილით, ობიექტის სამუშაო საათების დაწყებამდე, ხოლო დღის განმავლობაში სისუფთავის კონტროლი და შენარჩუნება.
დამლაგებელთა უნიფორმა უნდა შეთანხმდეს ბანკთან.
დალაგება უნდა განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების თანახმად.

1. **ყოველდღიურად, დილის საერთო დალაგებისას დამლაგებელმა უნდა:**

- გააკონტროლოს და საჭიროების შემთხვევაში დაასუფთავოს სანათები, ფანჯრები და ჭერი ობობის ქსელისგან;
- შეაგროვოს და გაიტანოს ნაგავი. ურნაში პარკის ჩაფენამდე დარწმუნდეს, რომ ურნა შიგნიდან და გარედან სათანადოდ არის გაწმენდილი. პარკის ჩაფენისას, მჭიდროდ მოუკრას თავი.
- ჩაასხას უნიტაზში და ჯაგრისზე საწმენდი საშუალება, გახეხოს უნიტაზის შიდა ზედაპირი და ჩატოვოს ჯაგრისი (დაახლოებით 15 წუთით) ქიმიკატიან წყალში, რათა გაიწმინდოს ჯაგრისიც. შემდგომ გარეცხოს და გაწმინდოს ჯაგრისის ჩასადები და უკვე დასუფთავებული ჯაგრისი დააბრუნოს ადგილზე. დაასრულოს უნიტაზის ზედაპირების წმენდა.
- გაწმინდოს და გააპრიალოს ნიჟარის შიდა და გარე ზედაპირები ღრუბლისა, საწმენდი ქიმიური საშუალებისა და მიკროფუბრული ტილოს გამოყენებით.
- სრულად გაწმინდოს ონკანი ნადებისგან, შესაბამისი ქიმიური საწმენდი საშუალების გამოყენებით, შემდეგ გააპრიალოს მშრალი მიკროფიბრული ტილოთი. გაითვალისწინოს, რომ ლითონის ზედაპირებზე არ იხმარება ღრუბლის უხეში მხარე, ის კაწრავს და აზიანებს ონკანის ზედაპირს.
- მოაცილოს კერამიკულ ზედაპირებს ლაქები, ღრუბლისა და საწმენდი კრემის გამოყენებით. შემდეგ სრულად გაწმინდოს ნოტიო ტილოთი.
- გაწმინდოს ინტერიერი ნოტიო ტილოთი, მათ შორის ნიჟარების მაგიდები, ფარდა-ჟალუზები, რაფები, დისპენსერები, სასაპნეები, კარებები, ჩარჩოები და სახელურები, ყველა ზედაპირების გათვალისწინებით.
- მოაცილოს მკვეთრი ლაქები კედლებსა და პლინტუსებს.
- გაწმინდოს/გააპრიალოს სარკეები.
- შეავსოს ჰიგიენური მარაგები;
- არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, დაამუშავოს ხშირად შეხებადი ზედაპირები ნოტიო ტილოთი/სადეზინფექციო ხსნარისა და ქაღალდის ხელსახოცების გამოყენებით.
- მოწმინდოს სველი წესით მყარი იატაკი. სანამ შეუდგება წმენდას, შეამოწმოს იატაკის საწმენდი ტილო, დარწმუნდეს მის სისუფთავეში და მხოლოდ ამის შემდეგ განახორციელოს წმენდა, რათა არ დარჩეს უსიამოვნო სუნი და კვალი იატაკზე.
- წმენდის დროს გაითვალისწინოს, რომ საბუთების თვითნებური გაერთიანება არ არის ნებადართული. გაწმინდოს ავეჯი ნივთების ქვეშ და შემდეგ დააბრუნოს თავიანთ ადგილებზე.
- დასუფთავების პროცესში გაითვალისწინოს, რომ ოფისებში დაუშვებელია დაფების წაშლა;

- გაწმინდოს ორგტექნიკა მტვრისგან. ორგტექნიკის წმენდისას ყურადღებით და სათანადოდ გაწმინდოს სადენების/კაბელების ქვეშ სივრცე. სიფრთხილე გამოიჩინოს სადენებთან, კაბელებთან, გაყვანილობასთან, რომ არ გამოვარდეს დენის წყაროდან, ან მოწყობილობიდან და არ გამოიწვიოს დაზიანება.
- მონიტორების საწმენდად გამოიყენოს მხოლოდ მათთვის განკუთვნილი ქიმიური საშუალება და ტილო.
- დასუფთავების დროს გაითვალისწინოს, რომ თანამშრომლების ნივთების თვითნებურად გადაადგილება /გადაყრა არ არის ნებადართული.
- ასევე გაითვალისწინოს, რომ ლეპტოპების გადაადგილება და დახურვა არ არის ნებადართული.
- მოაცილოს ლაქები საოფისე სკამებს. თუ ვერ უმკლავდება მარტივი საწმენდი საშუალებით, აცნობოს თავის მენეჯერს, რომ მან მიიღოს სათანადო ზომები და უზრუნველყოს სკამების ქიმიური წმენდა.
- გაწმინდოს ავეჯის ფეხები.
- ავეჯი დატოვოს სათანადო მდგომარეობაში: ავეჯის კარებები/უჯრები იყოს დახურული, სკამები/მაგიდები იყოს გასწორებული, გაწმენდილი და სიმეტრიულად დადგმული.
- მოწმინდოს სველი წესით მყარი იატაკი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სანამ შეუდგება წმენდას, შეამოწმოს იატაკის საწმენდი ტილო, დარწმუნდეს მის სისუფთავეში და მხოლოდ ამის შემდეგ, განახორციელოს წმენდა, რომ არ დარჩეს უსიამოვნო სუნი და კვალი იატაკზე.
- შეამოწმოს კარებების სისუფთავე და საჭიროების შემთხვევაში დაასუფთავოს.
- შეამოწმოს და დაასუფთავოს წყლის აპარატები/ბინულები.
- დასუფთავების ბოლო ეტაპზე, არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, დაამუშავოს ზედაპირები სადეზინფექციო ხსნარისა და ქაღალდის ხელსახოცების გამოყენებით.

სისუფთავის კონტროლის დროს დამლაგებელმა უნდა:

- დაიცვას საპირფარეშოს დასუფთავების შემოვლის პერიოდულობა, ობიექტის სპეციფიკაციის მოთხოვნების გათვალისწინებით.
- შეაგროვოს და გაიტანოს ნაგავი, როგორც იატაკიდან ასევე სანაგვე ურნებიდან.
- გაწმინდოს უნიტაზები და კარგად გაამშრალოს გარე ზედაპირები.
- გაწმინდოს და გაამშრალოს ნიჟარები და მათთან არსებული ჰორიზონტალური ზედაპირები.
- გააპრიალოს ლითონის/ნიკელის ზედაპირები.
- გაწმინდოს და გაამშრალოს კერამიკული ზედაპირები.
- გააპრიალოს სარკეები.
- შეამოწმოს და საჭიროების შემთხვევაში გაწმინდოს ინტერიერი ნოტიო ტილოთი.
- შეამოწმოს და შეავსოს ჰიგიენური მარაგები.
- გამოიყენოს ჰაერის წამახალისებელი, რათა გააქროს უსიამოვნო სუნი საპირფარეშოში.
- დაამუშავოს ხშირად შეხებადი ზედაპირები სადეზინფექციო ხსნარისა და ქაღალდის ხელსახოცების გამოყენებით.
- მოწმინდოს სველი წესით მყარი იატაკი.
- გადახედოს ინტერიერს შემმოწმებლის თვალით და დარწმუნდეს, რომ ყველაფერი წესრიგშია, არ არის დარჩენილი ჭუჭყიანი ლაქები, თმები და ნაგავი ზედაპირებზე, არ არის დარჩენილი დასუფთავების ინვენტარი და შესრულებულია ზემოაღწერილი პუნქტები.

გარე ტერიტორიის ყოველდღიური დასუფთავებისას დამლაგებელმა უნდა:

- შეაგროვოს და გაიტანოს ნაგავი გარე ტერიტორიიდან, ხელით ან მექანიკური მოწყობილობის გამოყენებით.
- დაასუფთავოს სანაგვე/საფერფლე ურნები. სათანადოდ გაწმინდოს/გარეცხოს როგორც შიგნიდან, ასევე გარედან.
- დაასუფთაოს მიმდებარე ტერიტორიის მყარი ფილები.
- მოხსნას და გაასუფთაოს ფასადზე თვითნებურად დაკრული (სტანდარტით გაუთვალისწინებელი) რეკლამები/განცხადებები;
- დაასუფთაოს გარე/შესასვლელი კიბის საფეხურები/კუთხეები/მყარი ფილები.
- ლაქების შემთხვევაში, მორეცხოს სველი წესით მყარი ფილები/კიბეები შესაბამისი ხსნარის გამოყენებით.
- დაასუფთაოს ვიტრაჟების ჩარჩოები ობობის ქსელებისგან.
- 2 მ-მდე სიმაღლეზე, დიასახლისის მიერ გაიწმინდოს ვიტრაჟის შუშები/რაფები მკვეთრი დაბინძურებისგან.
- დაასუფთავოს მტვერსასრუტით შესასვლელებთან მდებარე ნოხები.
- მოწმინდოს სველი წესით შესასვლელების და საჭიროების შემთხვევაში ურნების მიმდებარე ტერიტორია.

2. 2 კვირაში ერთხელ

- ცენტრალური შესასვლელის მიმდებარე ტერიტორია მოირეცხოს სპეციალური საშუალებისა და დანადგარების მეშვეობით

3. თვეში ერთხელ გენერალური დასუფთავება

- გენერალურად დასუფთავდეს ობიექტი, გენერალური დასუფთავების სტანდარტების ხელმძღვანელობით
- ჭერი / განათებები/ცხაურები გაიწმინდოს ჭერი ჭუჭყიანი ნათითურებისგან, ლაქებისგან,მოცილდეს აბლაბუდები. გაიწმინდოს გარედან, ჭერში არსებული განათებები და ცხაურები, ასევე გაიწმინდოს ჩამოკიდებული სანათები (როგორც გარედან, ასევე შიგნიდან) უსაფრთხოების ნორმების დაცვით.
- გაიწმინდოს კედლები, მოცილდეს ჭუჭყიანი ლაქები ღრუბლისა, სათანადო ქიმიური საშუალების და ნოტიო ტილოს გამოყენებით.
- ტიხრები სრულად გაიწმინდოს ტიხრები სპეციფიკაციიდან გამომდინარე, (შუშის, ხის, გიბსოს, პლასტიკატის...) ზედაპირების გათვალისწინებით, საჭირო საწმენდი ქიმიური საშუალებების გამოყენებით, ყველა არსებული ზედაპირების და კუთხეების ჩათვლით. დადგენილი განრიგის მიხედვით.
- კარებები, კარებების ჩარჩოები და სახელურები გაიწმინდოს ყველა არსებული კარის ზედაპირები, (ზედათავების ჩათვლით), და სახელურები. საჭიროების შემთხვევაში, დამუშავდეს ლაქებზე შესაბამისი ქიმიური საშუალების გამოყენებით, რომელიც არ დააზიანებს ზედაპირს. ამასთან ერთად, გაიწმინდოს ჩარჩოები (განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ძირებს, სადაც მეტია დაბინძურების ალბათობა ფეხსაცმელებისგან).
- კარადები გაიწმინდოს კარადების ზედაპირები ნოტიო ტილოთი. მოცილდეს ლაქები ქიმიური საშუალებების გამოყენებით. გადაიწმინდოს კარადის თავები ზემოდან სველი წესით. სახელურფარდა-ჟალუზებიები დამუშავდეს სადეზინფექციო ხსნარით.
- ფარდა-ჟალუზები გაიწმინდოს სველი წესით მეტალის ფარდა-ჟალუზები, ორივე მხრიდან.
- რაფები გაიწმინდოს რაფები ნოტიო ტილოთი, საჭიროების შემთხვევაში ქიმიური საშუალებების გამოყენებით.
- პლინტუსები გაიწმინდოს პლინტუსები ნოტიო ტილოთი, საჭიროების შემთხვევაში ქიმიური საშუალებების გამოყენებით.
- ჩამრთველები ფრთხილად გაიწმინდოს ლაქებისგან ჩამრთველები, უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

- პულტები გაიწმინდოს პულტები, ტილოზე მინიმალური ქიმიური/სადეზინფექციო საშუალების დატანებით.
- ფანჯრები/ვიტრაჟები გაიწმინდოს გამღები ფანჯრები ორივე მხრიდან, ჩარჩოებთან ერთად. ასევე გაიწმინდოს ყრუ ფანჯრები/ვიტრაჟები შიდა მხრიდან. ყრუ ფანჯრების/ვიტრაჟების სრული წმენდა განხორციელდეს დადგენილი განრიგის მიხედვით
- ორგტექნიკა ფრთხილად გაიწმინდოს ორგტექნიკა. გადაიწმინდოს მტვერი კომპიუტერებიდან , დანარჩენი ორგტექნიკა (ტელეფონები, პრინტერები და ასე შემდეგ...) დასუფთავდეს უფრო დეტალურად. (მაგ.: ტელეფონის წმენდისას აუცილებლად უნდა გაიწმინდოს სადეზინფექციო ხსნარით ყურმილი...და ა. შ.) ყურადღებით გაიწმინდოს ყოველდღიურობაში მიუდგომელი ადგილები (კერძოდ: სივრცე ორგთექნიკის ქვეშ და უკან, კაბელების ქვეშ....) დასუფთავების შემდეგ, ორგტექნიკა დაბრუნდეს ადგილზე, მოწესრიგებული.
- ინტერიერის სხვა დეტალების წმენდა გენერალური დასუფთავების დროს გაიწმინდოს დეტალურად ინტერიერის ყველა არსებული შემადგენელი ნივთი. (მაგალითად: დაფა, მაგიდის სანათი, სარკე და ასე შემდეგ...) ზედაპირების გათვალისწინებით, შესაბამისი საწმენდი საშუალებების გამოყენებით. ხშირად შეხებადი ზედაპირები დამუშავდეს სადეზინფექციო ხსნარით.
- მყარი ავეჯი სრულად გაიწმინდოს ავეჯის ზედაპირები ლაქებისა და მტვრისგან, მათი სპეციფიკაციიდან გამომდინარე, შესაბამისი საწმენდი ხსნარების საშუალებით. ხშირად შეხებადი ზედაპირები დამუშავდეს სადეზინფექციო ხსნარით. დასუფთავების შემდეგ, ავეჯზე განთავსებული პირადი ნივთები დაბრუნდეს თავიანთ ადგილებზე. გასათვალისწინებელია, რომ საბუთების თვითნებურად გაერთიანება იკრძალება.
- რბილი ავეჯი მტვერსასრუტით გაიწმინდოს რბილი ავეჯი, მოცილდეს ლაქები პროფესიონალური საშუალებების მეშვეობით და შემდეგ გაიწმინდოს ნოტიო ტილოთი. გაირეცხოს მოხსნადი გადასაკრავები/ან ქიმიურად დამუშავდეს დადგენილი განრიგის მიხედვით.
- სკამებიდან გადაიწმინდოს მტვერი, გასუფთავდეს დასაჯდომი ზედაპირები მტვერსასრუტით (საჭიროების შემთხვევაში გაიწმინდოს ლაქები პროფესიონალური ქიმიური საშუალებების მეშვეობით.), გაიწმინდოს სკამების ფეხები და საზურგეები. სახელურები დამუშავდეს სადეზინფექციო ხსნარით.
- გაირეცხოს ურნები, როგორც შიგნიდან, ასევე გარედან და შემდეგ გაიწმინდოს/გაპრიალდეს მშრალი ტილოთი. გასუფთავებულ ურნაში ჩაეფინოს თავზე მჭიდროდ მოკრული ერთჯერადი სანაგვე პარკი.
- მტვერსასრუტით გაიწმინდოს ხალიჩები/ნოხები, მოცილდეს ლაქები პროფესიონალური საშუალებების მეშვეობით. ქიმიურად დამუშავდეს მანქანით დადგენილი განრიგის მიხედვით.
- გასუფთავდეს მყარი იატაკი მტვერსასრუტის მეშვეობით და შემდეგ მყარი იატაკის ზედაპირის სპეციფიკაციის გათვალისწინებით, სველი წესით, ღრმა ჭუჭყის ამოსაყვანად განკუთვნილი შესაბამისი ქიმიური საშუალების და ინვენტარის გამოყენებით.

4. 3 თვეში ერთხელ

- გაირეცხოს ოფისებში არსებული რბილი იატაკი/ნოხი შესაბამისი სარეცხი აპარატისა და შამპუნირების ქიმიური საშუალების გამოყენებით. ქიმიური წმენდის დაწყებამდე რბილი იატაკი უნდა დასუფთავდეს მტვერსასრუტით. დასუფთავების ჯგუფმა ძნელად ამოსაყვანი ლაქები დაამუშავოს ლაქების ამომყვანი საშუალებებით და მხოლოდ ამის შემდეგ განახორციელოს მანქანით წმენდა. წმენდის შემდეგ მოხდეს ზედმეტი ხსნარისა და წყლის ასრუტვა სპეც.ტექნიკის გამოყენებით. რბილი იატაკი გაშრობის შემდეგ, აუცილებლად უნდა დასუფთავდეს მტვერსასრუტით, რის შემდეგ უნდა გაიწმინდოს პლინტუსები და ავეჯი დაუბრუნდეს თავის ადგილებს.

5. 6 თვეში ერთხელ

- დამუშავდეს ქიმიური წესით რბილი ავეჯი და საოფისე სკამები, შესაბამისი საწმენდი აპარატისა და რბილი ავეჯის საწმენდად განკუთვნილი ქიმიური საშუალების გამოყენებით. ქიმწმენდის

დაწყებამდე ავეჯი უნდა დასუფთავდეს მტვერსასრუტით, ძნელად ამოსაყვანი ლაქები დამუშავდეს ლაქების ამომყვანი საშუალებებით და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს მანქანით წმენდა.

დასუფთავების კომპანიის მენეჯერი პასუხისმგებელია შეამოწმოს დასუფთავების თანამშრომლების შესრულებული საუშაოს ხარისხი, გასცეს სათანადო მითითებები და დაგეგმოს ხარვეზების აღმოსაფხვრელი ღონისძიებები მოსალოდნელი ხარისხის მისაღწევად

დამლაგებელი პასუხისმგებელია აცნობოს თავის მენეჯერს ნებისმიერ ტექნიკურ გაუმართაობაზე, რომელსაც აღმოაჩენს დალაგებისას, რათა დროულად გადაეცეს სათანადო განყოფილებას ზომების მისაღებად.

დამლაგებელი პასუხისმგებელია აცნობოს თავის მენეჯერს ქონების ნებისმიერ დაზიანებაზე, რათა დროულად იქნეს მიღებული შესაბამისი ზომები.